საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №56
2023 წლის 24 აგვისტო

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებით (სსმ, №96, 04/08/2010, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.026.014932) დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და წესდების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ლიცეუმის სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამხედრო ფორმის ტანსაცმლით, ხოლო კადეტები სანივთე ქონებითა და უნიფორმით, რომლის ფორმასა და ტარების წესს განსაზღვრავს ლიცეუმის დირექტორი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ლელა ჩიქოვანი**